ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 193

"6" მაისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №2-6-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. 01.10.14.012.041) ტერიტორიიდან 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/კ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №2-6-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.041) ტერიტორიიდან 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/ნ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 აპრილის №22.566.627 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №2-6-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.14.012.041) ტერიტორიიდან 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/კ. 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3240 (სამი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**